


F 10769
3



10.769

F

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3

შ. ღ. გომონია და თ. ღ. ძიძიგური

საბავშვო
ლიტერატურის
სერია

თიჯა-აჟადხანა



სთუმბი
აფხაზეთის სახელგამო
1949

ბ/ : 91 (72 922)



საქ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარ
სამმართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო
კვლევითი სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის
აფხაზეთის ფილიალი

ექიმები: უ. დ. გოგოხია და თ. დ. ძიძიგური

აფხაზეთის კურორტები

I

რიცა—ავადხარა

F 10.469
3

★

სოხუმი
აფხაზეთის სახელგამი
1949



შესავალი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია შრავალფეროვანი ბუნებრივი სამკურნალო საშუალებებით.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სილამაზე და ამოუწურავი კლიმატურ-ბალნეოლოგიური სიმდიდრე, დიდხანია მას შემდეგ, რაც იპყრობდა უურადლებას, მაგრამ მისი მეტნიერული შესწავლა და ფართოდ გამოყენება მშრომელთა მასების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

მეუთვს მთავრობა სრულებით არ ზრუნავდა კურორტების მშენებლობასა და კეთილმოწყობაზე. საქართველოს შირველხარისხოვანი საკურორტო ადგილები გადაქცეული იყო შრივილეგიური კლასის წარმომადგენელთა დასასვენებელ და გასართობ აგარაკებად.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბრწყინვალედ გამარჯვების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში კურორტოლოგია ნამდვილ მეტნიერულ ნიადაგზე დადგა და საბჭოთა მედიცინის სამკურნალო-პროფილაქტიკურ სისტემაში სახატო ადგილი დაიკავა. კურორტები ჩვენს ქვეყანაში ხელმისაწვდომი გახდა მშრომელთა მასებისათვის.

ჩვენი ქვეყნის კურორტების შემდგომ ზრდასა და აყვავებაში დიდი როლი ითამაშა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბელშევიკების) ცენტრალური კომიტეტის

1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულმა დადგენილებამ კურორტების შენეებლობისა და კეთილმოწყობის შესახებ.

ლაგრენტი ზავლეს-ძე ბერიას უშუალო ხელმძღვანელობითა და შიითებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ზემოთ აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად, სახელდობრ — გამგეობებულ იქნა ახალი საკურორტო ადგილები; აშენებული იქნა ასობით სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები; გაიზარდნენ და გაიფურჩქნენ ჩვენი რესპუბლიკის სახელგანთქანი კურორტები: ბორჯომი, წყალტუბო, გაგრა, სოხუმი, ქობულეთი, აბასტუმანი და სხვა. ამ კურორტებმა დიკსეულად დაიმსახურეს ჩვენი ქვეყნის ფართო საზოგადოების უზრუნველება და სამართლიანად ჩადგნენ ისინი მსოფლიოს ზირველხარისხგან კურორტთა რიგებში.

მზიური საქართველოს კურორტებს შორის აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კურორტებს სანატოიო ადგილი უკავია.

დიდი ხნის განმავლობაში აფხაზეთი ცნობილი იყო მხოლოდ ზღვის სანაპირო კლიმატური სადგურებით (გაგრა, ახალი ათონი, სოხუმი, გუდაუთა, გულრიფში და სხვ.). აფხაზეთის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების შემდგომმა საფუძვლიანმა შესწავლამ გამოაფინა სხვა ზირველხარისხგანი კლიმატურ-ბალნეოლოგიური საკურორტო ადგილების არსებობაც.

აფხაზეთის კლიმატურ-ბალნეოლოგიური სადგურებიდან აღსანიშნავია რიცა-ავადხარის რაიონი. ეს რაიონი

ხვენი ქვეუნი ერთ-ერთი უღამაზესი კუთხეა, სადაც
საუკეთესო, ჯანსაღი ჭავა და საუცხლო სამკურნალო
წილებია. ამის საფუძველზე აღნიშნულ რაიონში ფართოდ
გაიშალა მეცნიერული მუშაობა ბუნებრივი სამკურნალო
რესურსების შესწავლისა და მათი პრაქტიკული გამოყენე-
ბის მიზნით.

წინამდებარე კრებულში მიზნად დავისახეთ შეგვეგრძე-
ლებინა რიცა-ავადხარის შესახებ არსებული მასალები და
მიგვეწოდებინა ქართული მკითხველისათვის მისი მკვლე
შინაარსი.

კრებულის შედგენისას ვისარგებლეთ აფხაზეთის კუ-
რატორიული ინსტიტუტის მიერ გამოცემული შრო-
მებით, განსაკუთრებით, კი 1948 წელს გამოცემული
კრებულთ — „რიცა-ავადხარა“ ტომი I.



მდინარე გეგის ხეობა.

რ ი ც ა

ჩიკა—ტბისა და მის ირგვლივ მდებარე რაიონის სახელწოდებაა.

ტბა ჩიკა მდებარეობს კურორტ გაგრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 55 კილომეტრის მანძილზე.

კურორტ გაგრიდან 16 კილომეტრის მანძილზე გზა შავი ზღვის სანაპიროს მიჰყვება სოხუმის მიმართულებით. მდინარე ბზიბთან იგი უხვევს ჩრდილოეთისაკენ და მდინარეების: ბზიბის, გეგისა და იუფშარის თვალწარმტაც ხეობებში მიიკლაკნება. მთელ მანძილზე გზა ასფალტირებულია და ლამაზ ზოლად ეხვევა მთის კალთებს. გზის ორივე მხარეს აღმართულია ხან ციცაბო, შიშველი თვალმიუწვდომელი კლდეები, ხან კი ტყით უხვად დაფარული მთის კალთები.

სოფელი ბზიბიდან მე-8 კილომეტრზე, გზის მარცხენა მხარეს, მდებარეობს ეგრეთწოდებული „ციცაბო ტბა“. აქ ციცაბო კლდის ძირას ბუნებრივი ბუდე უპოვია ზემო მთებიდან მონავარდე და იქვე მიწის წიაღიდან ამომავალ ანკარა წყაროებს. ტბას დაახლოებით 60 კვადრატულ მეტრამდე ფართობი უკავია. წყლის ტემპერატურა დაბალია (8—9 გრადუსი).

მდინარე გეგის ხეობაში გზა ბუნებრივ გვირაბში გადის. მთელი გზის მანძილზე ხშირად გვხვდება სალი კლდეებიდან მოჩუხჩუხე ჩანჩქერები. თვით მდინარეები: ბზიბი, გეგა და იუფშარა წარმოადგენენ მთის მდინარეებს, რომლებიც გასაოცარი სისწრაფითა და ხმაურით მოექანებიან შავი ზღვისაკენ. გზა ამ მდინარეების ხან მარჯვენა და ხან მარცხენა ნაპირს მიჰყვება. 24-ე კილომეტრზე გზა სცილდება მდინარე იუფშარის სანაპიროს და სულ მალლა და მალლა მიიმართება. გზის 29-ე კილომეტრზე იშლება ბუნების საუცხოო პანორამა — ტბა ჩიკა თავისი ლამაზი მიდამოებით.

ტბა რიცა მდებარეობს მდინარეების: ლაშიპსესა და იუფ-შარის ხეობაში, ზღვის დონიდან დაახლოებით 750 მეტრის სიმაღლეზე. ტბას ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ერთვის მდინარე ლაშიპსე და იგი გამოედინება მისგან მდინარე იუპშარას სახელწოდებით.

ტბას აქვს არასწორი ოვალის ფორმა. იგი სიგრძით გაჭიმულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. დასავლეთ მხარეს იგი უხვევს სამხრეთისაკენ და აქ ტბა მნიშვნელოვნად ფართოვდება. ტბის სიგრძე 2666 მეტრია, განიკი სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვასიგრძისაა: დასაწყისში იგი აღწევს 425 მეტრამდე, მოსახვევში კი — ერთ კილომეტრამდე. ტბის წყლის ზედაპირის ფართობი დაახლოებით ორ კვადრატულ კილომეტრს უდრის, სიღრმე მის ცენტრალურ ნაწილში 116 მეტრია.

ტბა შემოსაზღვრულია მაღალი მთებით: ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმართულია მთა აცეტუკი და კავკასიონის მთავარი მთები. მათი უმაღლესი მწვერვალი ზღვის დონიდან 2542,5 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. სამხრეთ სანაპიროზე ეშვება მთა რიუხვას ტყით უხვად დაფარული კალთები. დასავლეთით ტბის ნაპირიდან ორი — სამი კილომეტრის მანძილზე კედელივით აღმართულია მთა პშეგიშხას შიშველი კლდეები.

რიცის მიდამოების ტყე შერეული ხასიათისაა. აქ გვხვდება მუხა, რცხილა, წიფელა, ნაძვი, ფიჭვი, სოჭი და ხშირი ბუჩქნარი (რწყავი, ხეშავა და სხვ.).

რამდენიმე წლის წინათ რიცის მიდამოები მისაღწევი იყო მხოლოდ მწყემსებისა და შემთხვევით იქ მოხვედრილი გაბედული ტურისტებისათვის, რადგანაც ბუნების ამ ულამაზეს კუთხემდე მიდიოდა მხოლოდ საცალფეხო ბილიკი, სადაც გავლა მეტად სახიფათო იყო. თვით ტბის სანაპიროებიც მიუვალი ყოფილა, რადგან ზოგან ციცაბო კლდეები, ზოგან კი გაუვალი ტყით დაფარული მთის კალთები უშუალოდ ტბის ნაპირებზე ეშვებიან. დღეს ამ ციცაბო სანაპიროზე, ტბის ირგვლივ, გაყვანილია ასფალტით მოფენილი ფართო გზა.

1947 წელს ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირზე აგებული იქნა კომფორტაბელურად მოწყობილი სასტუმრო „რიცა“. სასტუმროში არის პირველხარისხოვარი სასადილო, რომლის აივანი უშუალოდ სარკესავით სუფთა, ციმციმა ტბას გადაჰყურებს. სასტუმროში არის კინოდარბაზი, რადიოკვანძი, ფოსტა-ტელეგრაფი, სამკითხველო, საპარიკმახერო, აბანო და სხვ.

სასტუმროს გვერდით გაშენებულია პატარა ნავსაყუდი. ტბაზე მთელი ზაფხულის სეზონში ხალხის სასეირნებლად სისტემატურად მოძრაობენ სწრაფმავალი ნავეები.

რიცის რაიონი უზრუნველყოფილია თავისი ელექტროსადგურით.

სააგარაკო სეზონის პერიოდში (მაისიდან სექტემბრის ბოლომდე) სოქას, გაგრას, სოხუმსა და რიცას შორის ყოველდღიურად დადიან სამგზავრო ავტომანქანები.

ყოველი მგზავრი აღტაცებული ბრუნდება უკან თვალწარმტაცი ტბის, მის ირგვლივ წიწვიანი მცენარეებით, ალპიური საძოვრებით, ალაგ-ალაგ მუდმივი თოვლით დაფარული მთების, მთის სწრაფმავალი მდინარეების უხუილით გამოცოცხლებული ხეობებისა და ამ ხეობებში მიმავალი ასფალტირებული გზის ორივე მხარეზე ცამდის აზიდული სალი კლდეების იშვიათი სილამაზით.

კლიმატი

მეტეოროლოგიური სადგურის 1933-35 წ. წ. მონაცემებით, ზამთარი რიცის რაიონში ხასიათდება საკმაოდ ხანგრძლივი და ღრმა თოვლის საბურველით, ყინვიან დღეთა დიდი რიცხვით, ჰაერის მაღალი შედარებითი ტენიანობითა და ნალექების დიდი რაოდენობით. ზაფხული რიცაში არის გრილი, მზიანი დღეების საკმარისი რაოდენობით, დაბალი ტენიანობითა და ნაკლები ნალექებით.

ამ რაიონის ცალკეული მეტეოროლოგიური მონაცემები შემდეგ სურათს იძლევა:

ჰაერის საშუალო ტემპერატურა ცალკეული თვეების მიხედვით:

თვეები:	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლი-ური
საშუალო ტემპერატურა გრადუსებში	-0,7	-0,8	+2,2	6,1	12,2	13,9	17,3	18,0	14,6	10,4	5,6	0,6	8,3

წლის ყველაზე უფრო ცივ თვეს თებერვალი წარმოადგენს, თბილს კი — აგვისტო. შემოდგომის თვეები უფრო თბილია, ვიდრე გაზაფხულისა.

ჰაერის საშუალო ტემპერატურა სეზონების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

სეზონი	ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა
ჰაერის საშუალო ტემპერატურა გრადუსებში	0,0	7,2	17,2	10,3

ჰაერის შედარებითი ტენიანობა კი ცალკეული თვეების მიხედვით ასეთია:

თვეები		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლი-ური
ჰაერის შედარებითი სინამე ტენიანობა % ⁰ / ₀	7 საათი	85	94	89	87	86	90	90	81	90	81	89	90	89
	13 საათი	69	76	61	58	55	60	60	57	62	65	72	78	64
	21 საათი	86	93	87	84	80	84	86	85	87	88	88	90	87
	დღულამე	80	88	78	77	74	78	79	78	79	81	83	87	81

ჰაერის შედარებითი ტენიანობა სეზონების მიხედვით შემდეგნაირად იცვლება:

სეზონი	ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა
ჰაერის შედარებითი ტენიანობა % ⁰ / ₀ -ში	85	76	78	81

მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ რიცის რაიონი ხასიათდება ჰაერის შედარებითი ტენიანობის მაღალი ციფრებით, მაგრამ ცალკეულ დღეებში გვაქვს შედარებით დაბალი რიცხვებიც.

ცალკეული თვეების მიხედვით ნალექების რაოდენობა შემდეგი რიცხვებით განისაზღვრება:

თვეები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ნალექების რაოდენობა მილიმეტრებში	62	206	123	144	142	106	84	75	158	123	163	245

საშუალოდ წლიური ნალექების რაოდენობა 1631 მილიმეტრს უდრის. ნალექიანი დღეების რაოდენობა შემდეგი ციფრებით გამოიხატება:

თვეები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლიური
დღეების რაოდენობა	14	21	15	18	17	15	12	10	14	17	17	17	187

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტი ნალექი მოდის თებერვლის თვეში, ნაკლები—აგვისტოში. მთელი ზაფხულის პერიოდში ნალექიანი დღეების რიცხვი რიცაში 37-ს უდრის.

ატმოსფერული ნალექების რაოდენობა რიცის რაიონში დიდია, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რიცაში ეგრეთწოდებული „წვიმიანი დღეების“ რიცხვი არ აღემატება სოხუმის ასეთივე დღეების რიცხვს. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ რიცაში ხშირად კოკისპირული წვიმები იცის.

თოვლიანი დღეების რაოდენობა ზამთრის თვეებში საშუალოდ 12—18 დღეს უდრის. თოვლის სიმაღლე ყველაზე დიდია თებერვალში და იგი 170 სანტიმეტრს აღწევს. თოვლის საბურველი აქ მტკიცეა და ეს ქმნის ზამთარში სათხილამურო სპორტის განვითარების შესაძლებლობას.

მზის ნათების ხანგრძლივობა მთელი წლის პერიოდში უდრის 1599 საათს (1933 წლის მონაცემებით). ცალკეული თვეების მიხედვით საათების ეს რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება:

თვეები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
მზის ნათების ხანგრძლივობა საათებში	64	55	122	134	188	197	202	222	165	123	74	53

სეზონების მიხედვით კი: ზამთარში მზის ნათების ხანგრძლივობა უდრის 172-ს, გაზაფხულზე—414-ს, ზაფხულში—621-ს და შემოდგომაზე—372 საათს.

რიცაში ძლიერი ქარები არ იცის. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია ქარების მიმართულება და სიჩქარე:

მიმართულება	ჩრდ.	ჩრდ. აღმ.	აღმ.	სამხ. აღმ.	სამხ.	სამხ. დას.	დას.	ჩრ/დასავ-თით
საშუალო წლიური სიჩქარე მ/წამ.	1,1	1,3	2,0	2,5	2,0	1,8	1,0	1,0

რიცის მიდამოები შესანიშნავია არა მარტო ჯანსაღი კლიმატითა და თვალწარმტაცი ბუნებრივი სილამაზით, არამედ იგი ყურადღების ღირსია, იმითაც, რომ მის მიდამოებში გამოსავალს პოულობს ძვირფასი ქიმიური შემადგენლობის მინერალური წყლები.

ამ რაიონის მინერალური წყლების უმთავრესი ჯგუფი თავმოყრილია მდინარე ლაშიპსეს მარცხენა ნაპირზე, ტბის შესართავიდან ერთი კილომეტრის მანძილზე. ამ ჯგუფის მინერალური წყლების მთავარი წარმომადგენელი—„რიცა № 2“ („გრიგოლიას ნარზანი“) აღმოჩენილ იქნა 1926 წ. ექიმ ა. ლ. გრიგოლიას მიერ.


მინერალური წყალი „რიცა № 2“-ის დღე-ღამის დებიტი 22 ათას ლიტრამდე აღწევს (1933 წლის გეოლოგიური ექსპედიციის მონაცემებიდან). № 1 ცხრილში მოგვყავს ამ მინერალური წყლის ქიმიური შემადგენლობა.

აღნიშნული ცხრილიდან ჩანს, რომ მინერალური წყალი „რიცა № 2“ წარმოადგენს ნახშირმჟავა-დარიშხანოვან-ჰიდროკარბონატურ-ნატრუმთან წყალს. ეს მინერალური წყალი სამკურნალოდ ჯერ-ჯერობით არ არის გამოყენებული.

მინერალური წყლის—„რიცა № 2“-ის ქიმიური შემადგენლობა:

ერთი ლიტრა წყალი შეიცავს:	გრამებში	მილიგრამ ექვივალენტს	მილ-ვალ. ‰‰
კატიონებს:			
ამონიუმი NH_4^+	0,0550	3,05	11,52
ლითიუმი Li^+	კვალი	—	—
კალიუმი K^+	0,0058	0,15	0,54
ნატრიუმი Na^+	0,2295	9,98	37,66
კალციუმი Ca^{++}	0,1960	9,78	36,95
მაგნიუმი Mg^{++}	0,0381	3,13	11,83
სტრონციუმი Sr^{++}	0,0007	0,016	0,06
რკინა Fe^{++}	0,0082	0,292	1,10
ალუმინი Al^{+++}	0,0008	0,089	0,34
მანგანუმი Mn^{++}	ნიშნები	—	—
ჯ ა მ ი:		26,48	100,00
ანიონებს:			
ქლორი Cl'	0,1200	3,38	12,78
ბრომი Br'	0,0046	0,057	0,22
იოდი I'	0,006	0,0047	0,02
ნიტრატი NO_3'	0,0620	1,00	3,77
სულფატი SO_4''	0,0707	1,47	5,61
ჰიდროფოსფატი HPO_4''	0,0016	0,033	0,12
ჰიდროარსენატი $HASO_4''$	0,0224	0,318	1,16
ჰიდროკარბონატი HCO_3'	1,2330	20,12	76,32
ჯ ა მ ი:		26,48	100,0
კაჟის ქანგი— SiO_2	0,0295		
თავისუფალი ნახშირმჟავა გაზი	1,430		
შეკავშირებული ნახშირმჟავა გაზი	0,805		
საერთო ნახშირმჟავა გაზი	2,235		
საერთო ქანგბადი	0,00,169		

კურლოვის ბალნეოლოგიური ფორმულა:



F10.769



ტბა რიცის ერთ-ერთი კუთხე



ავადხარა

რიცის ტერიტორიის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს ავადხარა. პირდაპირი ხაზით ავადხარა რიციდან დაშორებულია 5—8 კილომეტრით. საავტომობილო გზის მანძილი კი რიციდან ავადხარამდე 20 კილომეტრს უდრის. ეს გზა მიემართება ტბა რიციდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით მდინარე ლაშიპსეს ხეობაში. იქ, სადაც მდინარე ლაშიპსეს ერთვის მდინარე ავადხარა, გზა უხვევს მარცხნივ და მიჰყვება მდინარე ავადხარის ხეობას მდინარის ხან მარჯვენა და ხან მარცხენა მხარეზე. მე-20 კილომეტრის მანძილზე გზა გამოდის ავადხარის ტაფობზე. რიციდან 12 კილომეტრის მანძილზე ეს გზა უკვე ასფალტირებულია. ამჟამად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს გზის მშენებლობის საბოლოო დამთავრებისათვის.

ავადხარის ტაფობი მდებარეობს იმავე სახელწოდების მდინარის შუა წელის სანაპიროზე, ზღვის დონიდან 1650 მეტრის სიმაღლეზე. მისი გეოგრაფიული კოორდინატებია $43^{\circ} 20'$ სიგანედი და $49^{\circ} 33'$ სიგრძედი გრინვიჩით.

ავადხარის ტაფობს გარს არტყია ხშირი ტყით დაფარული მთები და ალპიური საძოვრები. ავადხარის ჩრდილოეთით მდებარეობს კავკასიონის მთავარი მთები მწვერვალ აგეპსტათი (3093 მეტრის სიმაღლე ზღვის დონიდან). აქვე მდებარეობს ეგრეთწოდებული აუარის მთები (ზღვის დონიდან 2832 მეტრის სიმაღლეზე).

ამ მთების კალთებიდან სათავეებს იღებენ მდინარეები: ავადხარა და ლაშიპსე. ავადხარის სამხრეთით მდებარეობენ კავკასიონის მთავარი ქედის პარალელური ქედები (2775—2690 მეტრის სიმაღლე ზღვის დონიდან). ეს ქედები მიემართებიან მთა აცეტუკამდე, რომელიც თავის მხრივ ქედითვე უერთდება მთა ანჩხას.

მდინარე ავადხარის სიგრძე 17 კილომეტრამდე აღწევს. მის შენაკადს წარმოადგენს მდინარე მზი და რამდენიმე პატარა უსახელო ლეღე. მდინარე ავადხარა და მისი შენაკადები სუფთაა.

ეს მდინარეები და პატარ-პატარა შენაკადები დიდი წვიმების დროსაც კი ფერს იშვიათად იცვლიან.

ტყეები ავადხარაზე და მის მიდამოებში შერეული ტიპისაა, მაგრამ წიწვიანი მცენარეები უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ფოთლოვანი.

ავადხარის რაიონში მრავლად მოიპოვება გასასეირნებელი და დასათვალიერებელი ლამაზი ადგილები. მუდმივი თოვლით ალაგ-ალაგ დაფარულ მთებზე ბილიკებით შეიძლება ასვლა. ეს ბილიკები ტყეებში მოჩუხჩუხე ანკარა ნაკადულების გასწვრივ მიემართებიან.

კლიმატი

ავადხარის კლიმატი ჯერ-ჯერობით კარგად არ არის შესწავლილი, მაგრამ ცალკეული მკვლევარის (ალ. ლ. გრიგოლია, შ. რ. ჩუბინიძე) პერიოდული დაკვირვებებიდან ჩანს, რომ ავადხარა ხასიათდება მაღალი მთის ჰავით. აქ ჰაერი სუფთაა და დიდი რაოდენობით შეიცავს ოზონს. მზის ინსოლაცია დიდია, ნალექების რაოდენობა ზაფხულში მცირეა, შედარებითი ტენიანობა საშუალო რიცხვებში გამოიხატება, ძლიერი ქარები არ იცის.

კლიმატის ასეთი კარგი მაჩვენებლები და ავადხარის მიდამოში უხვად გამომდინარე მინერალური წყლები საუკეთესო ბუნებრივ პირობებს ჰქმნიან ამ რაიონში კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტის მოწყობისათვის.

მოკლე ისტორიული ცნობები

რიცა-ავადხარის რაიონის ბუნებრივი ფაქტორების მეცნიერულად შესწავლისა და მათი სამკურნალო მიზნით გამოყენების პირველი ინიციატივა ეკუთვნის ექიმ ა. ლ. გრიგოლიას.

1927 წლიდან ექიმ ა. ლ. გრიგოლიას უშუალო ხელმძღვანელობით იწყება ავადხარის ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების სისტემატური შესწავლა. მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა (უგზობა, დასახლებული პუნქტების დიდი სიმორე), 1927—1933 წლების პერიოდში აღნიშნულ რაიონში გაგზავნილი იქნა სამი სამეცნიერო ექსპედიცია. ექსპედიციების მიერ აღმოჩენილი იქნა მინერალური წყლების მრავალი ახალი გამოსასვლელი ადგილი, შესწავლილი იქნა მთავარი მინერალური წყლების ფიზიკური და ქიმიური თვისებები.

1933 წელს ქალაქ პიატიგორსკის ცენტრალურ ბალნეოლოგიურ ინსტიტუტში ფიზიოლოგების: ზიპალოვისა და ლიდსკაიას მიერ დაყენებული იქნა პირველი ექსპერიმენტული ცდები ცხოველებზე მინერალური წყლის — „რიცა № 1“-ლის ფიზიოლოგიური მოქმედების შესწავლის მიზნით. პარალელურად ამისა, იმავე წელს დოცენტ ფ. პ. ლოპაჩუკის მიერ ჩატარებული იქნა კლინიკური და ექსპერიმენტული დაკვირვება აღნიშნული მინერალური წყლის მოქმედების შესასწავლად (უფრო დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ).

1938 წელს სოხუმში გაიხსნა კურორტოლოგიის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტი (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის ფილიალი) კლინიკური განყოფილებით.

ექიმ ა. ლ. გრიგოლიას ხელმძღვანელობით აფხაზეთის კურორტოლოგიის ინსტიტუტმა დიდი მუშაობა ჩაატარა რიცა-ავადხარის რაიონის სამკურნალო წყლების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების, ფიზიოლოგიური და კლინიკური მოქმედების შესასწავლად.

ორნახევარი წლის განმავლობაში ინსტიტუტის კლინიკურ განყოფილებაში გატარებულ იქნა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ქრონიკული სნეულებით (კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებით, სხვადასხვა ფორმის კუჭის კატარით, ხოლცისტიტებითა და ქრონიკული კოლიტებით) ათასამდე დაავადებული ავადმყოფი, რომელთა მკურნალობა წარმოებდა საუცხოო შედეგებით ბოთლებში ჩამოსხმული მინერალური წყლით — „რიცა № 1“-ლით.

დიდი სამამულო ომის დროს დროებით შეჩერდა აღნიშნული ინსტიტუტის მუშაობა, მაგრამ 1947 წლიდან ისევ განახლდა იგი.

1947 წელს აფხაზეთის კურორტთა მთავარმა სამმართველომ ავადხარაზე ააშენა კლინიკური განყოფილებისათვის ორსართულიანი შენობა.

1948 წელს ავადხარაზე მოწყობილი იქნა მუდმივი მეტეოროლოგიური სადგური.

ავადხარას მინერალური წყლები

რიცის მიდამოების მინერალური წყლების შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. აღვნიშნეთ, რომ ამ რაიონის მინერალური წყლების ფიზიოლოგიური და კლინიკური მოქმედება ჯერ-ჯერობით შესწავლილი არ არის.

ნარკვევის ამ თავში ჩვენ შევეხებით ავადხარაზე მდებარე მინერალური წყლების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს, ფიზიოლოგიურსა და სამკურნალო მოქმედებას.

ამ რაიონის მინერალური წყლები გამოსავალს პოულობენ მდინარე ავადხარის შუა წელის სანაპიროებზე და მდებარეობის მიხედვით სამ ჯგუფად იყოფიან: ზედა, შუა და ქვედა ჯგუფის მინერალურ წყლებად.


ზედა ჯგუფის მინერალური წყლები მდებარეობენ მდინარე ავადხარის მარცხენა ნაპირზე, მდინარე მზის შესართავიდან 700—800 მეტრით ქვემოთ. აქ შედარებით პატარა ტაფობზე აღმოჩენილია მინერალური წყლების რამდენიმე გამოსასვლელი, რომელთა შორის თავისი დებიტითა და მუდმივი ქიმიური შემადგენლობით ყველაზე უფრო აღსანიშნავია მინერალური წყალი „რიცა № 4“.

ცხრილი № 2

მინერალური წყლის—„რიცა № 4“-ის ქიმიური შემადგენლობა:

ერთი ლიტრა წყალი შეიცავს:	გრამებში	მილიგრამ ეკვივალენტი	მილ-ვალ %/0
კატიონებს:			
ამონიუმი NH ₄ ⁺	არ არის	—	—
ნატრიუმ-კალიუმი K—Na ⁺	0,0876	3,81	22,09
კალციუმი Ca ⁺⁺	0,1843	9,20	53,34
მაგნიუმი Mg ⁺⁺	0,0469	3,86	22,38
რკინა Fe ⁺⁺	0,0108	0,38	2,19
ჯ ა მ ი:	—	17,25	100,00
ანიონებს:			
ჰიდროკარბონატი HCO ₃ [']	1,0250	16,80	97,40
ქლორი Cl [']	0,0144	0,40	2,32
სულფატი SO ₄ ^{''}	0,0024	0,05	0,28
ჯ ა მ ი:	—	17,25	100,00
თავისუფალი ნახშირმჟავა გაზი	1,4860		

კურლოვის ბალნეოლოგიური ფორმულა:



№ 2 ცხრილში ნახვენებია „რიცა № 4“ მინერალური წყლის ქიმიური შემადგენლობა. ანალიზი გაკეთებულია 1947 წლის 1 ნოემბერს ინჟინერ-ქიმიკოს ვ. დ. ჩერნიკოვას მიერ.

ამ მინერალური წყლის დებიტი დღე-ღამეში 4500 ლიტრამდე აღწევს.

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ მინერალური წყალი „რიცა № 4“ წარმოადგენს ნახშირმჟავა - კალციუმ - მაგნიუმ-ნატრიუმთან წყალს. ზემო ჯგუფის მინერალური წყლები ძირითადად ერთი ტიპისაა. ამის გამო ჩვენ არ შევჩერდებით ცალკეულ მათგანის ფიზიკურ-ქიმიურ დახასიათებაზე.

შუა ჯგუფის მინერალური წყლები მდებარეობენ მდინარე ავადხარის მარჯვენა სანაპიროზე ზედა წყლებიდან სამი კილომეტრით დაშორებით. ამ ჯგუფს ეკუთვნის ავადხარის მთავარი მინერალური წყალი — „რიცა № 1“. ეს ის წყალია, რომელმაც პირველმა მიიქცია ჰიდრო-გეოლოგიური ექსპედიციის ყურადღება (1927 წელს) და ბალნეოლოგიური კურორტის სახელი მოუხვეჭა ამ რაიონს. ამ წყაროს გამოსავალი მდებარეობს მდინარე ავადხარის მარჯვენა სანაპიროზე, მდინარიდან 30—40 მეტრის დაშორებით. წყარო გამოდის ტყით დაფარული მთის კალთიდან, გროვდება აუზში, რომელიც ამჟამად გადახურული და შემოკავებულია. მინერალური წყალი რკინის მილის საშუალებით გამოდის შემოკავებული ზონიდან და მომხმარებელი ონკანიდან იღებს მას.

მთავარი მინერალური წყლის მდებარეობის ზონაში ჯერ კიდევ 1933 წელს ინჟინერ ნ. ა. ოგიღვის მიერ ჰიდრო-გეოლოგიური სადაზვერვო-საძიებო მუშაობის ჩატარების დროს აღმოჩენილი იქნა მინერალური წყლების ოცდაერთამდე გამოსავალი ადგილი, ხოლო 1937 წელს ექიმი ა. ლ. გრიგოლიას მიერ დამატებით აღმოჩენილი იქნა სამი ახალი გამოსავალი. ამ ჯგუფის მინერალური წყლების ფიზიკურ-ქიმიურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ყველა ისინი ძირითადად ერთი და იგივე ტიპისაა, ამიტომ ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ მინერალური წყლის — „რიცა № 1“-ის ფიზიკურ-ქიმიურ დახასიათებაზე.

№ 3 ცხრილში მოცემულია მინერალური წყლის — „რიცა № 1“-ის ქიმიური შემადგენლობა.

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ პროფესორ ვ. ა. ალექსანდროვის კლასიფიკაციით, მინერალური წყალი — „რიცა № 1“ ეკუთვნის ჰიდროკარბონატული კლასის ჰიდროკარბონატურ - ნახშირმჟავა-ნატრიუმთან-რკინიანი წყლების ჯგუფს.


ქიმიური შემადგენლობით მინერალური წყალი — „რიცა № 1“ ანალოგიურია შემდეგი მინერალური წყლებისა: ბორჯომის (წყარო № 1-ლი ყოფილი ეკატერინეს წყარო), ნაბელღავის (ბურ-



მინერალური წყალი—„რიცა № 1“-ის ქიმიური შემადგენლობა: ანალიზის თარიღი: 5/10—1945 წ. ანალიზის მომხდენი—ვ. დ. ჩერნიკოვა.

ერთი ლიტრა წყალი შეიცავს:	გრამებში	მილიგრამ ეკვივალენტს	მილი-ვალ ‰-ს
კატიონებს:			
ამონიუმი NH ₄ '	არ არის		
ლითიუმი Li'	ნიშნები		
კალიუმი K'	0,0600	1,53	1,94
ნატრიუმი Na'	1,2760	55,50	70,64
მაგნიუმი Mg''	0,1100	9,05	11,52
კალციუმი Ca''	0,2380	11,80	15,12
სტრონციუმი Sr''	ნიშნები	—	—
რკინა Fe''	0,0134	0,48	0,61
მანგანუმი Mn'	0,0004	0,014	0,02
ალუმინიუმი Al'''	0,0011	0,12	0,15
ჯ ა მ ი:	—	78,57	100,0
ანიონებს:			
ჰიდროკარბონატი HCO ₃ '	4,6400	76,08	96,83
სულფატი SO ₄ ''	0,0012	0,02	0,03
ქლორი Cl'	0,0872	2,46	3,13
ბრომი Br'			
იოდი I'	ნიშნები		
ჰიდროთარსენატი HASO ₃ '	0,0018	0,01	0,01
ჯ ა მ ი:	—	78,57	100,00
თავისუფალი ნახშირმჟავა გაზი	1,8600		
კაჟის სიმჟავე H ₂ SiO ₃	0,0880		
მეტაბორის სიმჟავე HBO ₂	0,1200		

კურლოვის ბალნეოლოგიური ფორმულა:





ტილი „№ 1“) საირმის (ქაბურღილი № 1), უწერის (წყარო № 1, ყოფილი „გვერიტა“) და საზღვარგარეთული ვიშისა (წყარო Grand-Grill საფრანგეთში).

№ 4 ცხრილში მოგვყავს ზემოთ აღნიშნული მინერალური წყლების ქიმიური შემადგენლობისა და ზოგიერთი ფიზიკური თვისებების ურთიერთ შედარება. როგორც ამ შედარებითი ცხრილიდან ჩანს, ეს მინერალური წყლები ერთ ჯგუფს ეკუთვნიან. მათი მინერალიზაციის მთავარი ელემენტებია: ჰიდროკარბონატი (HCO_3'), ნატრიუმი (Na), გაზებიდან — ნახშირორჟანგი (CO_2). მიუხედავად ამისა, ცხრილში აღნიშნულ ყოველ მინერალურ წყალს თავისებური ინდივიდუალური თვისებებიც აქვს, როგორც ფიზიკური ხასიათის, ისე ქიმიური შემადგენლობის მხრივაც, მაგალითად: უწერის საირმისა და ნაბელლავის მინერალური წყლები ხასიათდება მაღალი მინერალიზაციით, ვიშის წყარო სხვა მის ანალოგებთან შედარებით ხასიათდება მაღალი ტემპერატურით ($41,8^\circ$), ნახშირორჟანგსა და დარიშხანის იონს (ჰიდროარსენატის სახით) ყველაზე უფრო დიდი რაოდენობით შეიცავს მინერალური წყალი — „რიცა № 1“ ორვალენტოვანი რკინის შეცულობის მხრივ მინერალური წყალი — „რიცა № 1“ ოდნავ ჩამორჩება უწერის ანალოგიურ წყალს, მაშინ როდესაც სხვა ანალოგიური წყლები გაცილებით ნაკლები რაოდენობით შეიცავენ ორვალენტოვან აქტიურ რკინას. რიცა-ავადხარის მინერალური წყლების ქიმიური შემადგენლობა ჩვენ მიერ მოყვანილია ბუნებრივად გამოსულ წყლებზე გაკეთებული ანალიზიდან.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურული მონაცემების თანახმად, მინერალური წყლების მხოლოდ ქიმიური შემადგენლობა არ განსაზღვრავს მათ სამკურნალო და ფიზიოლოგიურ მოქმედებას. მინერალური წყლის მინერალიზაციის მეტ-ნაკლებობაზე არ არის დამოკიდებული ამა თუ იმ წყლის სამკურნალო მოქმედების ეფექტიანობის ხარისხი. ამიტომ მიღებულია, რომ ყოველი მინერალური წყლის ფიზიოლოგიური და კლინიკური მოქმედება შესწავლილი იქნას ინდივიდუალურად.

ქვედა ჯგუფის მინერალური წყლები მდებარეობენ მდინარე ავადხარის მარცხენა ნაპირზე, მთავარი მინერალური წყლიდან („რიცა № 1“-დან) 1 კილომეტრით დაშორებით. ამ ჯგუფის მინერალური წყლების ქიმიური შემადგენლობა რიცა-ავადხარის რაიონის სხვა ზემოთ მოყვანილი წყლების ანალოგიურია. ამიტომ ამ ჯგუფის მინერალური წყლების ცალკე დახასიათებას არ ვიძლევი.



მინერალური წყლის—„რიცა № 1“-ის და მისი ანალოგიური მინერალური წყლების ქიმიური შემადგენლობის შედარებითი ტაბულა¹⁾

	„რიცა № 1“	ბორჯომი № 1 (ყოფ. ეკატერინეს წყაროს)	ნაბეღლავი მექ. ბურლილი 1939 წ.	საირმე ბურლილი № 4 1939 წ.	უწერა წყარო № 4 (ვვერიტა)	ვიში (წყარო Grand Grill)
ანალიზის მომხდენი	ვ. დ. ჩერნიკოვა	კრივოშია	ნ. ბრეგვაძე	ნ. ბრეგვაძე	რ. კუპცისი	ვილი
ტემპერატურა	8°	29°	13,5°	10,2°		41,8°
დებიტი ლიტრებში	6000	40,000	65000	3300	400	
ერთი ლიტრი წყალი შეიცავს გრამებში	გრამებში	გრამებში	გრამებში	გრამებში	გრამებში	გრამებში
კატიონებს:						
ამონიუმი NH ₄ ⁺	—	0,0056	—	მცირე ნიშნები	—	—
ლითიუმი Li ⁺	ნიშნები	—	—	—	—	0,0081
კალიუმი K ⁺	0,0600	1,5283	1,9972	2,0452	2,3499	2,0203
ნატრიუმი Na ⁺	1,2760					
მაგნიუმი Mg ⁺	0,1100	0,0357	0,2040	0,1655	0,1129	0,0116
ბარიუმი Ba ⁺⁺	—	—	—	—	0,0002	—
კალციუმი Ca ⁺⁺	0,2380	0,1039	0,2102	0,3120	0,2258	0,0889
სტრონციუმი Sr ⁺⁺	ნიშნები	—	—	—	—	0,0125
რკინა Fe ⁺⁺	0,0134	0,0023	0,0097	0,0020	0,0160	0,0012
მანგანუმი Mn ⁺⁺	0,0004	—	0,0020	0,0002	—	—
ალუმინიუმი Al ⁺⁺⁺	0,0011	—	—	—	—	—



ანალიზებს:							
ჰიდროკარბონატი HCO_3'	4,6400	3,9041	6,3257	5,6486	6,7989	4,6402	
სულფატი SO_4''	0,0012	0,0028	0,2604	0,1073	0,0349	0,1826	
ქლორი Cl'	0,0872	0,3870	0,1737	0,7512	0,3900	0,3458	
ბრომი Br	ნიშნები	0,0016	ნიშნები	ნიშნები	0,0003	არ არის	
ჰიდროფოსფატი HPO_4'	—	—	0,0003	0,0001	0,0031	0,0880	
იოდი I'	ნიშნები	0,0035	0,0002	0,0002	0,0004	არ არის	
ჰიდროარსენატი HASO_3''	0,0018	—	—	—	—	0,0002	
თავისუფალი CO_2	1,8600	1,1900	1,8000	0,8000	1,1000	0,8500	
კაჟის სიმჟავე HSiO_3	0,0880	0,0428	0,1000	0,0094	0,0360	0,0700	
მეტაბორის სიმჟავე HBO_3	0,1200	—	—	—	—	—	
ალუმინის ჟანგი	—	—	0,0050	0,0050	0,0044	—	
საერთო მინერალიზაცია	6,6	6,0	9,3	9,0	10,0	7,4	

27

1) ნაბეღლავის, უწერისა და საირმის მინერალური წყლების ქიმიური ანალიზები ამოღებულია გ. ი. ნოდიაშვილიდან „კურორტი უწერა“.

ფიზიოლოგიური და კლინიკური მოქმედების მხრივ რიცა-
ავადხარის რაიონის მინერალური წყლებიდან ჯერ-ჯერობით
ნაწილობრივად შესწავლილია მხოლოდ მინერალური წყალი „რი-
ცა № 1“.

პირველი ექსპერიმენტული ცდები მინერალური წყლის—
„რიცა № 1“-ის ფიზიოლოგიური მოქმედების შესასწავლად დაყუ-
ნებულ იქნა 1933 წელს ფიზიოლოგების: ვ. დ. ზიპალოვისა და
ლიდსკაიას მიერ პიატიგორსკის სახელმწიფო საკვლეო-სამეც-
ნიერო ბალნეოლოგიური ინსტიტუტის ექსპერიმენტული ბალნეო-
ლოგიის განყოფილებაში. აღნიშნული ავტორების მიერ შესწავლილ
იქნა ბოთლებში ჩამოსხმული „რიცა № 1“-ის მინერალური წყლის
გავლენა კუჭის სეკრეტორულ და ევაკუატორულ ფუნქციაზე, ნა-
წლავეების პერისტალტიკაზე, ნაღველას წარმოშობაზე, ორგანიზმში
წყლის ქლორიდებისა და აზოტოვან ნივთიერებათა ცვლაზე.

კუჭის სეკრეტორულ ფუნქციაზე მინერალური წყლის—„რიცა
№ 1“-ის გავლენის შესასწავლად ზემოთ დასახელებული ავტო-
რების მიერ ცდები ჩატარებული იქნა აკადემიკოსი ი. პ. პავლო-
ვის მეთოდით გამოყოფილ ძაღლის მცირე კუჭზე.

პირველი სერიის ცდებში მინერალური წყალი შეყავდათ
კუჭში საჭმელთან ერთად (მინერალური წყლის პილორული მოქ-
მედების შესასწავლად), მეორე სერიის ცდებში კი მინერალური
წყალი შეყავდათ საკვების მიღებამდე ერთი საათით ადრე
(მინერალური წყლის დუოდენალური მოქმედების შესასწავლად).
საკონტროლო ცდებში მინერალური წყლის მაგივრად შეყავდათ
წყალსადენის წყალი იმავე წესითა და რაოდენობით.

ამგვარად ჩატარებული ცდების შედეგების საფუძველზე
ავტორები აღნიშნავენ, რომ მინერალური წყალი „რიცა № 1“,
მიღებული საკვებთან ერთად, კუჭის ლორწოვანი გარსის პილო-
რული ნაწილიდან იწვევს კუჭის სეკრეტორული ფუნქციის გაძ-
ლიერებას სიმჟავიანობის მკვეთრი მომატებით. იგივე მინერალური
წყალი, მიღებული საჭმლის მიღებამდე ერთი საათით ადრე, პი-
რიქით, თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვანიდან იწვევს კუჭის
სეკრეციის დამუხრუჭებას კუჭის წვენის სიმჟავიანობის დაქვეითე-
ბით.

კუჭის ევაკუატორულ ფუნქციაზე მინერალური წყლის „რიცა
№ 1“-ის გავლენის შესასწავლად ზიპალოვმა და ლიდსკაიამ
ცდები ჩატარეს ორ ძაღლზე, რომლებსაც გაკეთებული ჰქონ-
დათ კუჭის ჩვეულებრივი ფისტულა. დაკვირვების ქვეშ მყოფ
ძაღლებს ეძლეოდა 150 გრამი კართოფილის თათარა, ან იმავე



ეროვნული
ბიბლიოთეკა



კლინიკური განყოფილების შენობა ავადმარაზე

რაოდენობის კვერცხის ცილის ნარევი 150 კუბიკურ სანტიმეტრ მინერალურ წყალთან. პირველი სერიის ცდებში ფისტულა იხსნებოდა კუჭში ნარევის შეყვანის ნახევარი საათის შემდეგ, მეორე სერიის ცდებში კი ფისტულის გახსნა წარმოებდა მინერალურ წყალთან შერეული საკვების კუჭში მოხვედრის ერთი საათის შემდეგ. ორივე სერიის ცდებში ზუსტად ხდებოდა მიღებული ნარჩენი საკვების რაოდენობის გაზომვა. საკონტროლო ცდებში კი ყველაფერი იმავე წესით მეორდებოდა, მხოლოდ მინერალური წყლის მაგივრად იღებდნენ უბრალო (წყალსადენის) წყალს.

ასეთი დაკვირვებების საფუძველზე ავტორებს გამოაქვთ დასკვნა, რომ ჩვეულებრივი წყალსადენის წყალთან შედარებით, მინერალური წყალი — „რიცა № 1“ ენერგიულად სტიმულირებს კუჭის ევაკუატორულ ფუნქციას.

ნაღვლის წარმოშობის პროცესზე მინერალური წყლის — „რიცა № 1“-ის გავლენა ზიპალოვისა და ლიდსკაიას მიერ შესწავლილი იქნა ნაღვლის ბუშტის ფისტულიან ძალზე შიფის მეთოდით. მკვლევარების დაკვირვებით მინერალური წყლების მიღების დროს გამოიყოფოდა ნაღვლის უფრო დიდი რაოდენობა, ვიდრე წყალსადენის წყლის მიღების შემთხვევაში.

ნაწლავების პერისტალტიკაზე მინერალური წყლის — „რიცა № 1“-ის გავლენა შესწავლილი იქნა იმავე ავტორების მიერ ისეთ ძაღლებზე, რომლებსაც გაკეთებული ჰქონდათ ფისტულები შემდეგ ადგილებზე: მლივსა და თეძოს ნაწლავის საზღვარზე, თეძოს ნაწლავის დასასრულზე და ასწვრივი კოლინჯის დასაწყის ნაწილზე. ყველა ძაღლს გაკეთებული ჰქონდა აგრეთვე კუჭის ჩვეულებრივი ფისტულა, საიდანაც შეჰყავდათ 500 კუბიკური სანტიმეტრი მინერალური წყალი, საკონტროლო ცდებში კი იმავე რაოდენობისა და ტემპერატურის უბრალო წყალსადენის წყალი. ყოველ ხუთ წუთში აწარმოებდნენ სათანადო ფისტულებიდან ნაწლავების შიგთავსის შეგროვებას მის გამოყოფის სრულ შეწყვეტამდე. ასეთმა ცდებმა ავტორებს უჩვენა, რომ მინერალური წყალი — „რიცა № 1“ ხასიათდება ნაწლავების მილში ჩქარი მოძრაობით. იგი მცირე რაოდენობით შეიწოვება წვრილ ნაწლავებში და მისი დიდი ნაწილი აღწევს მსხვილ ნაწლავამდე. ამის გამო აღნიშნულ მინერალურ წყალს შეუძლია უშუალოდ იმოქმედოს არა მარტო წვრილი ნაწლავების, არამედ მსხვილი ნაწლავების ლორწოვანებზედაც. მინერალური წყლის ამ თვისებას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს როგორც ფუნქციონალური ატონიის, შეკრულობისა და საერთოდ მსხვილი ნაწლავების მუშაობის რეგულიაციისათვის, ისე ამ წყლით მსხვილი ნაწლავების ქრონიკული ანთებადი პრო-

ცესების (არა ინფექციური და წყლულოვანი ხასიათის) სამკურნალო მიზნით გამოყენებისათვის.

იმავე ავტორების მიერ ორ ძალზე, რომლებსაც შარდსადენი გამოყვანილი ჰქონდათ გარეთ, მუცლის ქვედა ნაწილში, შესწავლილი იქნა მინერალური წყლის—„რიცა № 1“-ის გავლენა: დიურეზზე, შარდის PH-ზე, შარდში ქლორიდებისა და აზოტოვანივთიერებათა გამოყოფაზე.

ჩატარებული დაკვირვებების შედეგად ავტორები აღნიშნავენ, რომ მინერალური წყალი—„რიცა № 1“, მიღებული შიგნით, პირველ საათში იწვევს შარდის დიდი რაოდენობით გამოყოფას, შარდში ქლორიდებისა და აზოტოვანივთიერებათა მომატებას. ამ წყლის გავლენით ორგანიზმის მუავი-ტუტიანობის წონასწორობას მიდრეკილება აქვს ალკალოზისაკენ (ტუტიანობისაკენ).

1933 წელს დოცენტ ფ. პ. ლოპაჩუკისა და ექიმ ა. მ. კოლინას მიერ ჩატარებული იქნა დაკვირვებები ბოთლებში ჩამოსხმული მინერალური წყლის—„რიცა № 1“-ის გავლენის შესასწავლად ადამიანის კუჭის სეკრეტორულ და ევაკუატორულ ფუნქციაზე კურორტ გავრის სტალინის სახელობის სანატორიუმის კლინიკური განყოფილების პირობებში. იმავე ავტორების მიერ პარალელურად შესწავლილი იქნა აღნიშნული მინერალური წყლის სამკურნალო მოქმედება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებაზე, მასთან კუჭის ჰიპერაციდული, ნორმაციდული და სუბაციდული კატარების დროსაც.

მიღებული შედეგების საფუძველზე ავტორები აკეთებენ დასკვნას, რომ მინერალური წყალი „რიცა № 1“, მიღებული უზმად, კუჭიდან ჩქარი ევაკუაციის გამო ხასიათდება ნაკლები სეკრეტორული მოქმედებით, ვიდრე წყალსადენის წყალი. ევაკუაციას დაქვეითებისა და კუჭის სეკრეტორული ჯირკვლების აგზნების დროს ეს მინერალური წყალი იწვევს კუჭის წვენის გაძლიერებულ გამოყოფას სიმუავიანობის მომატებით.

მინერალური წყალი—„რიცა № 1“, ჯამის წინ ერთი საათით ადრე მიღებული, ამცირებს კუჭის წვენის გამოყოფას, აქვეითებს კუჭის წვენის სიმუავიანობას, აუმჯობესებს კუჭის ევაკუატორულ ფუნქციას. იგივე მინერალური წყალი, მიღებული საჭმელთან ერთად, ან და საჭმლის მონელების შუა პროცესში, იწვევს კუჭის სეკრეტორული ჯირკვლების მოქმედების გადიდებას, ხოლო იმავე წყლის საჭმლის მონელების ჩათავეების პროცესში შეყვანა იწვევს ევაკუაციის აჩქარებასა და სეკრეტორული პერიოდის შემოკლებას.

ავტორების დაკვირვებით, დეგაზირებული და შემთბარი მინერალური წყალი უფრო მალე ტოვებს კუჭს, ვიდრე გაზირებული და ცივი.

ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებაზე, რომელსაც თან ერთვის კუჭის სიმყავის დაქვეითება, შემთბარი მინერალური წყალი უკეთეს სამკურნალო ეფექტს იძლევა, ვიდრე ცივი.

აღნიშნული ავტორების დაკვირვებებით, მინერალური წყლის— „რიცა № 1“-ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში (ერთ თვემდე) მიღება კუჭის ქრონიკული კატარებისა და წყლულოვანი დაავადებების შემთხვევაში გვაძლევს კუჭის წვენის სიმყავიანობის დაქვეითებას, კუჭის ევაკუატორული ფუნქციის მკვეთრ გაუმჯობესებას, სეკრეტორული პერიოდის შემოკლებას, კატარული მოვლენების გაქრობას, სუბიექტური და ობიექტური ნიშნების მთლიანად მოსპობას, ან მკვეთრად შემცირებას.

აღნიშნული მინერალური წყლით მკურნალობის შედეგები დამოკიდებულია დაავადების ხასიათზე.

ავტორების მიერ საუკეთესო სამკურნალო ეფექტიანობა იქნა მიღებული მუავე კატარების, ფუნქციონალური ჰიპერსეკრეციის, ქრონიკულად მიმდინარე წყლულოვანი დაავადებებისა (კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავის) და ევაკუაციის ფუნქციონალური მოშლილობის დროს. კუჭის გასავლის ფუნქციონალური, ან შედარებითი დავიწროების დროს საუკეთესოდ მოქმედობს შემთბარი მინერალური წყლით— „რიცა № 1“-ით კუჭის სისტემატური ამორეცხვა.

ავტორების გამოკვლევით, პილორუსის (კუჭის გასავალი ნაწილი) და თორმეტგოჯა ნაწლავის ორგანული შევიწროების დროს მინერალური წყალი წინააღმდეგ ნაჩვენებია.

კუჭის წვენის მომწიფებელ ძალაზე მინერალური წყლის— „რიცა № 1“-ის მიღება შესამჩნევ გავლენას არ ახდენს.

ექიმი ალ. გრიგოლიას, დოცენტ ფ. პ. ლოპახუკის და ექიმ ა. ი. კობტეევას მიერ 1938—1940 წ. წ. პერიოდში კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სოხუმის კლინიკური სანატორიუმის პირობებში ჩატარებული იქნა დაკვირვებები ბოთლებში ჩამოსხმული მინერალური წყლით— „რიცა № 1“-ით კუჭ-ნაწლავის მთელ რიგ დაავადებათა მკურნალობის ეფექტიურობაზე. მათ მიერ დაკვირვების ქვეშ გატარებულ იქნა სამასამდე ავადმყოფი, რომელთა შორის იყვნენ დაავადებულები: კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით, კუჭის სხვადასხვა ფორმის კატარით, ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთებითა და ქრონიკული კოლიტით.

ავტორები აღნიშნავენ, რომ „რიცა № 1“ მინერალური წყლით მკურნალობის კურსის ჩატარების შემდეგ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით დაავადებულნი უმეტეს შემთხვევაში გრძნობენ მკვეთრ გაუმჯობესებას: კლებულობს, ან სრულებით ქრება ტკივილები, ქვეითდება კუჭის წვენის სიმყავიანობა, ისპობა გულწვა, მატულობს ავადმყოფის სიმხნევე და შრომისუნარიანობა.

ნობა. ასევე კარგი შედეგი იქნა მიღებული მათ მიერ კუჭისა და ნაწლავების კატარების მკურნალობის დროსაც. მკურნალობის დაწყების მე-5-მე-7 დღიდან ავადმყოფთა უდიდესი ნაწილი თავს უკეთ გრძნობდა: უწყნარდებოდათ ბოყინი, გულწვა, ტკივილები, უუმჯობესდებოდათ მადა, მატულობდნენ წონაში და სხვა.

იმავე კლინიკურ სანატორიუმში ამჟამად საუცხოო შედეგებით მიმდინარეობს იმავე წყლით საკმლის მომწელებელი ტრაქტის ზემოთ აღნიშნულ დაავადებათა მკურნალობა. განსაკუთრებით აღსანიშნავი არის ნალვლის გზებისა და ბუშტის ქრონიკულ დაავადებათა მკურნალობის ეფექტიანობა. დღემდე კლინიკურ სანატორიუმში გატარებულია ასამდე ასეთი ავადმყოფი. მინერალური წყლით მკურნალობის ჩატარების შემდეგ ავადმყოფები გრძნობენ მკვეთრ გაუმჯობესებას: უწყნარდებოთ ტკივილები, დისპეპსიური მოვლენები, ნალველში ანთების პროდუქტები (ლორწო, ლეიკოციტები და სხვ.), შესამჩნევად მცირდება ან სრულებით ქრება.

მინერალური წყლის—„რიცა № 1“-ის გავლენა ადამიანის ორგანიზმში წყლის, ქლორიდებისა და აზოტოვან ნივთიერებათა ცვლაზე შესწავლილ იქნა დოცენტ ფ. პ. ლოპაჩუკისა და ექიმ ვედენინის მიერ კურორტ გაგრის სტალინის სახელობის სანატორიუმის კლინიკური განყოფილების პირობებში.

დაკვირვებისათვის საჭირო მინერალური წყალი ჩამოქონდათ ავადხარიდან, სადაც მისი ჩამოსხმა წარმოებდა ბოთლებში პრიმიტიული წესით. მინერალურ წყალს ჰქონდა თავისი ბუნებრივი გაზი, ხელოვნურ გაზირებას არ აწარმოებდნენ.

აღნიშნული ავტორების მიერ ექსპერიმენტული ცდები ზემოთ მოყვანილი საკითხების შესასწავლად წარმოებული იყო, როგორც ჯანმრთელ, ისე ავადმყოფ პირებზედაც.

ავტორები თავიანთი ექსპერიმენტული ცდების მონაცემების საფუძველზე გვაძლევენ შემდეგ დასკვნებს:

მინერალური წყალი—„რიცა № 1“ მიღებული ერთჯერადად, დიდი დოზით (ერთი ლიტრა), წყალსადენის წყალთან შედარებით, დაკვირვების პირველ საათში იწვევს დიურეზის გაძლიერებას, შემდეგი ოთხ-ხუთ საათში იგი უფრო სუსტ მარდდამდენ თვისებას იჩენს. საშუალოდ კი მინერალური წყლის ერთი ლიტრის რაოდენობის მიღების შემდეგ დღე-ღამის დიურეზი ოდნავ ჩამორჩება, ან უდრის საკონტროლო დღე-ღამის დიურეზს.

იგივე მინერალური წყალი, მიღებული ხანგრძლივი დროის განმავლობაში დღეში სამჯერ, ჰამამდე ერთი საათით ადრე, 250 კუბიკური სანტიმეტრის რაოდენობით, ხასიათდება ძლიერი მარდდამდე-

ნი თვისებით. მინერალური წყლის დიურეზული მოქმედება განსაკუთრებით თავს იჩენს მისი მიღების დაწყების მეორე დღიდან.

აღნიშნული წყლის მიღების შემდეგ შარდის ხვედრით წონას ერთგვარი მიდრეკილება აქვს მომატებისაკენ, ვიდრე ჩვეულებრივი წყლის მიღების შემდეგ, მაგრამ ორივე შემთხვევაში იგი დამოკიდებულია გამოყოფილი შარდის რაოდენობაზე.

„რიცა № 1“ მინერალური წყლის გავლენით შარდის აქტიურ რეაქციას ემჩნევა ტუტთანობისაკენ გადახრა. აღნიშნული წყლის ასეთი მოქმედება ძლიერ არის გამოხატული მისი დიდი დოზით მიღების შემდეგ პირველი ხუთი საათის განმავლობაში. აღნიშნულ პერიოდში შარდის მჟავე რეაქცია გადადის ტუტე რეაქციაში. პატარა დოზებით და დიდი ხნის განმავლობაში მიღების დროს ეს მინერალური წყალი შარდის რეაქციის თვალსაჩინო ცვლილებას არ იწვევს, თუმცა შარდის რეაქციას ტუტთანობისაკენ ტენდენცია ყოველთვის უფრო მეტად გამოხატული აქვს ამ წყლის მიღების შემდეგ.

აღნიშნული მინერალური წყლის დიდი დოზებით მიღების შემთხვევაში შარდში ქლორიდების რაოდენობა მატულობს, მაგრამ იმავე მინერალური წყლის ხანგრძლივ პერიოდში მიღებისას შარდში ქლორიდების გამოყოფის ეფექტი უფრო სუსტადაა გამოხატული.

მინერალური წყალი—„რიცა № 1“ იწვევს შარდში შარდოვანისა და შარდმჟავის გამოყოფის გაძლიერებას. რაც უფრო ხანგრძლივად ლეზულობს დაკვირვების ქვეშ მყოფი პიროვნება აღნიშნულ წყალს, მით აზოტოვან ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების გამოყოფა უფრო ინტენსიურია.

სისხლში შარდმჟავას რაოდენობა ამ მინერალური წყლის, როგორც ერთჯერად, ისე ხანგრძლივად მიღების შემთხვევაში კლებულობს.

აღნიშნული მინერალური წყლის ხანმოკლე პერიოდში მიღების დროს ადგილი აქვს სისხლში ქლორიდების რაოდენობის შემცირების, მაგრამ იმავე წყლის ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიღება იწვევს სისხლის ქლორიდების მცირედად მომატებას, თუმცა ეს მატება ნორმის ფარგლებიდან არასოდეს არ გამოდის.

ავტორების აზრით, მინერალური წყლის—„რიცა № 1“-ის ხანგრძლივად დიდი დოზებით ხმარება, კარგ სამკურნალო ეფექტს იძლევა ქრონიკული პიელიტების, ცისტიტების, პიელოცისტიტებისა და პოდაგრის შემთხვევებში. „რიცა № 1“ მინერალური წყლის სამკურნალო მოქმედებაზე, ქრონიკულად მიმდინარე შარდსადენი გზების დაავადებაზე და პოდაგრის შემთხვევაში

კლინიკური დაკვირვების მასალა ჯერ-ჯერობით საკმარისად არის შეგროვილი, რომ ამის საფუძველზე რაიმე დამაჯერებელი დასკვნები გამოვიტანოთ, მაგრამ ზემოთ მოყვანილ ექსპერიმენტული დაკვირვებები და არსებული ლიტერატურული მონაცემები აღნიშნული დაავადებების დროს ამ წყლის ანალოგიური წყლების საუცხოო სამკურნალო მოქმედების შესახებ შესაძლებელს ხდის მინერალური წყალი—„რიცა № 1“ ფართოდ იქნას გამოყენებული საშარდე გზებისა და ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთი დაავადების სამკურნალოდ.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ყველა კლინიკური და ექსპერიმენტული დაკვირვება ჩატარებული იყო ბოთლებში ჩამოსხმულ მინერალურ წყალზე. ცხადია, უშუალოდ წყაროდან მიღებული წყლის მოქმედება უფრო მაღალხარისხოვანი იქნება.

როგორი წესით უნდა დაინიშნოს შიგნით მისაღებად მინერალური წყალი—„რიცა № 1“ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვადასხვაგვარი დაავადებების დროს?

კუჭის წვენის სიმუავიანობის დაქვეითების ან მისი სრული არარსებობის დროს მინერალური წყალი ავადმყოფს ეძლევა ჭამამდე თხუთმეტი წუთით ადრე, ან ჭამის დროს თავისი ბუნებრივი გაზითა და ტემპერატურით სამჯერ დღეში თითო ჩაის ჭიქა.

კუჭის წვენის მუავიანობის მომატებით მიმდინარე კატარების, წყლულოვანი დაავადების შემთხვევებში უკეთესია მინერალური წყალი ავადმყოფს დაენიშნოს ჭამამდე ერთი—ერთნახევარი საათით ადრე შემთბარი სახით.

შეკრულობის, თირკმლებისა და საშარდე გზების დაავადების დროს ავადმყოფს ენიშნება ბუნებრივი ტემპერატურის მინერალური წყალი.

ფალარათის, ღვიძლისა და ნაღვლის გზების დაავადების დროს კი, პირიქით, ავადმყოფს უნდა მიეცეს მინერალური წყალი შემთბარი 35—40 გრადუსამდე.

კუჭის ატროფიული და ლორწოვანი კატარების, კუჭის გასავლის ფუნქციონალური და შედარებითი შევიწროების დროს კარგ სამკურნალო შედეგს იძლევა მინერალური წყლით კუჭის სისტემატური ამორეცხვა.

ქრონიკულად მიმდინარე არაინფექციური კოლიტის დროს კარგად მოქმედობს შემთბარი მინერალური წყლით სიფონის ოყნები.



მინერალური წყლის ზადრეგანი საძიებო ბურღილიდან ავადბარაზე

ჩვენებანი მინერალური წყლით— „რიცა №1“-ით მკურნალობისათვის

1. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებანი:

1. კუჭის ქრონიკული კატარები ნორმალური ან გაძლიერებული მჟავიანობით კუჭის ევაკუაციის მკვეთრი მოშლილობის გარეშე.

2. კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ქრონიკული წყლულოვანი დაავადება გამწვავებისა და სისხლის დენის გარეშე.

3. ნაწლავების ქრონიკული კატარი, ლორწოვანი კოლიტები, ენტეროკოლიტები (არაინფექციური ეტიოლოგიის), როგორც პირველადი ხასიათის, ისე მეორადი კუჭის ფუნქციის მოშლის შედეგად.

2. ღვიძლისა და ნაღვლის გზების დაავადებანი:

1. ნაღვლის ბუშტისა და ნაღვლის გზების ქრონიკული ანთება.

2. ნაღვლის კენჭოვანი დაავადება ნაღვლის გზების დახურვის მოვლენების გარეშე.

3. ღვიძლის ქრონიკული კეთილთვისებიანი ანთება (გეპატიტი).

3. თირკმლებისა და საშარდე გზების დაავადებანი:

1. თირკმლების ფიალას, შარდსაწვეთებისა და საშარდე ბუშტის ქრონიკული ანთებადი დაავადებანი შარდის მჟავე რეაქციის დროს.

4. ნივთიერებათა ცვლის დაავადებანი:

1. პოდაგრა, მწვავე შეტევებისა და სახსრების მკვეთრი დეფორმაციის გარეშე.

წინააღმდეგ ჩვენებანი:

1. კუჭის გასავალი ნაწილის ორგანული დავიწროება კუჭის ევაკუატორული ფუნქციის მოშლით.

2. ამებური და წყლულოვანი კოლიტი.

3. ნალველ-კენჭოვანი დაავადება ნალვლის გზების დახშობის მოვლენებით.

4. საერთოდ, წინააღმდეგი ჩვენებანი მინერალური წყლით მკურნალობისათვის.

უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა საძიებო გაბურღვამ, მინერალური წყლის — „რიცა № 1“-ის გამოსავლის სიახლოვეს, გვიჩვენა, რომ ავადხარის რაიონში მინერალური წყლის დიდი მარაგი მოიპოვება. ამ გაბურღვის დროს 103 მეტრის სიღრმიდან მიღებულ იქნა მინერალური წყლის თვითდინებითი შადრევანი დღე-ღამეში 200 ათასი ლიტრის დებიტით. ბურღილიდან მიღებული წყლის კონცენტრაცია უფრო მაღალია, ვიდრე № 1-ლი წყლისა.

უახლოეს მომავალში საჭიროა ჩატარდეს სრული მოცულობის ჰიდროგეოლოგიური საშუშაოები ბურღილების დაკაპტაუებით.

ადგილზე უნდა ჩატარდეს დაკვირვებები რიცა-ავადხარის რაიონის მინერალური წყლების სამკურნალო მოქმედების შესასწავლად, როგორც საჭმლის მომწელებელი ტრაქტის, ისე სხვა ორგანოების დაავადებებისას.

ავადხარის რკინიანი და დარიშხანოვანი წყლები მაღალ შთის ჰაევასთან კომბინაციაში უსათუოდ საუკეთესო შედეგებს მოგვცემენ მეორედი სისხილნაკლებობისა და ქლოროზების სამკურნალოდ. საჭირო არის ამ მიმართულებით სათანადო დაკვირვების ჩატარება.

რიცა-ავადხარის რაიონის მინერალური წყლების დიდი დებიტი და მათში დიდი რაოდენობით თავისუფალი ნახშიროვანგის არსებობა შესაძლებელს ხდის ამ წყლების აბაზანების სახით გამოყენებას სისხლის მიმოქცევის ორგანოების ზოგიერთ დაავადებათა სამკურნალოდ.

სისტემატურად უნდა იქნას შესწავლილი რიცა-ავადხარის ჰავა, მისი აზრით ავადხარის ჰავა მოუხდება ქრონიკული ბრონქიტით, ლიმფადენიტითა და ბრონქიალური ასთმით დაავადებულ ავადმყოფებსაც.

უახლოეს მომავალში ავადხარაზე აშენებული უნდა იქნას ელექტროსადგური, მინერალური წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა, დასრულებულ უნდა იქნას კლინიკური განყოფილების შენობის კეთილმოწყობა. უნდა გაკეთდეს კეთილმოწყობილი სააბაზანო შენობა.

ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშრო-
მელთა მკურნალობისა და დასვენებისათვის დასასვენებელი სახ-
ლების, სანატორიუმებისა და კლინიკების მშენებლობას. ჩვენი
დიადი ქვეყნის ყველა კუთხეში ბლომადაა შექმნილი საუკეთესო
პირველხარისხოვანი კურორტები, სადაც ყოველ წლიურად ასი-
ათასობით ისვენებენ და მკურნალობენ საბჭოთა კავშირის ყოველი
კუთხიდან მოსული მშრომელები.

საბჭოთა კავშირის პირველხარისხოვან კურორტებს მალე
გვერდით ამოუდგება ახალი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორ-
ტი რიცა-ავადხარა.

შინაარსი

	გვერდი
შესავალი	3
რიცა	9
კლიმატი	11
ავაღხარა	19
მოკლე ისტორიული ცნობები	20
ავაღხარას მინერალური წყლები	21
ჩვენებანი მინერალური წყლით— „რიცა № 1“-ით მკურნალობი- სათვის	39
წინააღმდეგ ჩვენებანი	„



საქართველოს მკვლევართა საზოგადოება



КУРОРТЫ АБХАЗИИ
РИЦА — ДВАДХАРА
Выпуск I

პრედაქტორი ექიმი ბ. ლ. პრიგოდა



გი00067. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/III 1949 წ. მოცულობა
2³/₄ ნაბეჭდი ფურცელი. ტირაჟი 1150 შეკვეთა № 4489.
აფხაზეთის სახელგამის სტამბა

